

ლოქსუმი

გაზეთი გამოდის
1983 წლის
10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და
ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии
и Цагерского районного народных депутатов

№40 (6266) სამშაბათი 1990 წელი 3 აპრილი ფასი 3 კპპ.

კვარტალის გეგმა — გადაჭარბებით

გეგმობა ხუთწლი-
ის დამატებელი წლის
პირველი კვარტალი წარ-
მატებით გააცილეს რაიონ-
ის საფედერაციო ქსელის მუ-
შაკებმა. მათ საქონელბრუ-
ნის პირველი კვარტალის
გეგმა 123 პროცენტით გა-
ანაღდეს — ნაცვლად 45 ათა-
სისა გაწეულია 55500 მან-
ეთის სამკურნალო სა-
შუალებებით მომსახურე-
ბა.

წარმატება განპირობა
სისტემის მუშაობა მაღალმა
პასუხისმგებლობამ დაკის-
რებული მოვალეობისადმი.

ნაყოფიერი გამოდგა
წლის განვლილი სამი თვე
ცაგერის ადგილობრივი წარ-
მოშობის კომბინატის შრომითი
კოლექტივისათვის, რომე-
ლმაც გადაჭარბებით შეა-
სრულა როგორც სამრეწვე-
ლო პროდუქციის გამოშ-
ვების, ისე რეალიზაციის
გეგმები. გამოშვებულია
398 ათასი მანეთის პროდ-
უქტია, როცა გეგმა 390
ათას მანეთს ითვალისწი-
ნებდა. რეალიზებულია და-

გეგმილზე ბევრად მეტი
პროდუქტია.

საბავშვო დაელებათა
შესრულებისათვის ენერგ-
იულად იშრომეს რაიონის
კინოფიკატორებმა, მათ
პირველი კვარტალის გეგმა
116,6 პროცენტით გაანაღ-
დეს.

კინოსანახობიდან შემ-
ოსავალმა 5600 მანეთს
გადაჭარბა დაგეგმილი 4800
მანეთის ნაცვლად.

გეგმის შესრულებაში
განსაკუთრებით გამოიჩი-
ნეს თავი ქალაქის კინოთ-
ეატრის მუშაკებმა.

პირველი კვარტალის
გეგმის შესრულებას წარ-
მატებით გაართვეს თავი
საგზაო სამმართველოს
მშრომლებმა. მათ რესპუ-
ბლიკური მნიშვნელობის
გზებზე გეგმით უნდა შეე-
სრულებინათ 16,2 ათასი
მანეთის სამუშაო, ფაქტი-
ურად კი 18,4 ათასი მა-
ნეთის სამუშაო შესრულ-

ეს, ხოლო ადგილობრივი
მნიშვნელობის გზებზე გე-
გმით გათვალისწინებული
50,3 ათასი მანეთისა, შეა-
სრულეს 56,8 ათასი მანე-
თის სამუშაო და საგეგმო
დავალბა გადაჭარბებით
შესრულდა.

საგზაო სამმართველოს
მშრომლებს პირველ კვა-
რტალში გადაჭარბებით
აქვთ შესრულებული ასევე
საშუალო შეკეთების და
გზის მოვლა-შენახვის სა-
გეგმო დავალებები.

პირველი კვარტალში
23-ე საგზაო-სარემონტო-
სამშენებლო სამმართველოს
შრომითი კოლექტივს უნდა
შესრულებინა 357 ათასი
მანეთის სამშენებლო სამუ-
შაო, ფაქტიურად კი შეს-
რულებულია 359 600 მან-
ეთის სამუშაო და კვარტა-
ლის გეგმა 107 პროცენტით
იქნა განაღდებული.

გზის მშენებლებს წარმა-
ტებით აქვთ განაღდებული
გზის კაპიტალური შეკეთ-
ებისა და შენახვის გეგმები.

საფედერაციო საბჭოს სხდომა

30 მარტს კრებულში მ. ს. გო-
რბაჩოვის თავმჯდომარეობით გა-
იმართა სსრ კავშირის პრეზიდენ-
ტის საფედერაციო საბჭოს პი-
რველი სხდომა.

სხდომაზე მოისმინეს სსრ კავ-
შირის უზენაესი საბჭოს ეროვნე-
ბათა საბჭოს თავმჯდომარის რ.
ნ. ნიშანოვის ცნობა იმის შესა-
ხებზე, თუ როგორ მიმდინარეობს
საკანონმდებლო აქტების პროექ-
ტების შემუშავება, რომლებიც
დაკავშირებულია იმასთან, რომ
ახალი შინაარსით შეივსოს საბ-
ჭოთა სოციალისტური ფედერა-
ცია, გაიმიჯნოს სსრ კავშირისა
და მოკავშირე რესპუბლიკების
უფლებამოსილებანი, განმტკიც-
დეს მათი სუვერენიტეტი. ყველა
ამ საკითხის გამო გაიმართა და-
ინტერესებული და საფუძვლიანი
სჯაბასი. საფედერაციო საბჭოს
წევრთა საერთო აზრი ის არის,
რომ უნდა დამტკიცდეს კანონე-
ბის მიღება, რომლებიც პარამონ-
იულს გახდის საერთო-საკავში-
რო და რესპუბლიკურ ინტერე-
სებს, საიმედოდ დაიცავს ნების-

მიერი ეროვნების მოქალაქეთა
უფლებებს, ქვეყნის რომელ რე-
გიონშიც უნდა ცხოვრობდნენ
ისინი.

საფედერაციო საბჭომ ყოველ-
მხრივ განიხილა ლიტვის სსრეს-
პუბლიკაში დღეისათვის შექმ-
ილი ვითარება და მოიწონა ლო-
ნისმიდებანი, რომლებსაც ახორც-
ილებდნენ სსრ კავშირის პრეზიდ-
ენტი და მინისტრთა საბჭო სსრ
კავშირის სახალხო დეპუტატთა
რიგგარეშე, მესამე ყრილობის
გადაწყვეტილებათა შესასრულე-
ბლად.

გამოითქვა სერიოზული შეშ-
ფოთება იმის გამო, რომ ლიტ-
ვის ახლანდელი ხელმძღვანელო-
ბა ჯიუტად უგაფუდებლყოფს
სსრ კავშირისა და საკავშირო
ხელისუფლების კონსტიტუციას,
სულ უფრო მეტად ამკვიდრებს
სეპარატიზმისა და ეროვნული
ეგოიზმის პოლიტიკას, მოქმედებს
ლიტველი ხალხის და რესპუბლ-
იკის მთელი მოსახლეობის ძირე-
ული ინტერესების საწინააღმდე-
გოდ.

ამიტომ, აგრეთვე იმის გათვა-
ლისწინებით, რომ იზრდება საბ-
ჭოთა ადამიანების შემოფოთება,
წერილები და დეპეშების ნაკადი
ცენტრალურ ორგანოებში, მათ
შორის ლიტვიდანაც, საფედერა-
ციო საბჭომ ურჩია სსრ კავშირ-
ის პრეზიდენტს მოსთხოვოს ლი-
ტვის სსრ უზენაეს საბჭოს გააუ-
ქმოს მის მიერ მიღებული სამ-
ართალსაწინააღმდეგო აქტები და
ამით შექმნას იმის შესაძლებლ-
ობა, რომ განიხილოს შექმნილი
სიტუაცია ერთადერთ მისაღებ
საფუძველზე — სსრ კავშირის კო-
ნსტიტუციის ფარგლებში.

საკითხების განხილვის დროს
გამოვიდნენ საფედერაციო საბჭ-
ოს წევრები ტ. აკმატოვი, ვ. ი.
ვოროტნიკოვი, გ. გ. გუმბაროვი,
ნ. ი. დემენტი, ი. ა. კარიმოვი,
ნ. ა. ნაზარბაევი, გ. პალაევი,
მ. ი. სნიგური, ვ. ს. შევჩენკო.
საფედერაციო საბჭოს მუშაო-
ბაში მონაწილეობდნენ სსრ კავ-
შირის უზენაესი საბჭოს თავ-
მჯდომარე ა. ი. ლუკიანოვი და
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭ-
ოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი.

სკლსთა ინსტრუქციისათვის

იქმნება სსრ კავშირის ეროვნული საკითხთა, სახადმოვლო კომიტეტის მიერ

ეროვნული განვითარებისა და
ეროვნებათშორისი ურთიერთ-
ბის სფეროში სახელმწიფო მმ-
ართველობის სრულყოფის მიზნით
უზენაესი საბჭოს მესამე სესიამ
მიიღო სსრ კავშირის კანონი
„სსრ კავშირის ეროვნულ საკი-
თხთა საკავშირო-რესპუბლიკურ-
ი სახელმწიფო კომიტეტის შე-
ქმნის შესახებ“.

მის ამოცანებზე გვესაუბრება
სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს
ეროვნებათა საბჭოს ეროვნული
პოლიტიკის და ეროვნებათაშორი-
სი ურთიერთობის კომისიის თა-
ვმჯდომარე გ. ს. ტარაშვილი.

— არა გვგონია მართლზომიერი
იყოს ლაპარაკი საბჭოთა ხელის-
უფლების გარიყრატზე არსებული
ეროვნებების საქმეთა სახალხო
კომისარიატის აღორძინების შეს-
ახებ. უპირველესი ამოცანა ამ
უწყებისა, რომელსაც, სხვათა
შორის, უშუალოდ მეთაურობდა
ი. ბ. სტალინი, იყო საბჭოთა
რესპუბლიკების შექმნა და სსრ
კავშირად გაერთიანებისათვის
მათი მომზადება, მოგვიანებით
სახალხო კომისარიატს გამგებ-
ლობაში მიეკუთვნა „რუსეთის
სტეს რესპუბლიკის ყველა ერო-
ვნებისა და ტომის, აგრეთვე სა-
ხელმწიფოებო მეგობარი საბჭ-
ოთა რესპუბლიკების მშვიდობი-
ანი საერთო ცხოვრებისა და ძმუ-
რი თანამშრომლობის უზრუნვე-
ლყოფა; მათი მატერიალური და

სულიერი განვითარებისათვის ხე-
ლშეწყობა მათი ყოფის კულტ-
ურისა და ეკონომიკური მდგომა-
რების თავისებურებათა შესაბ-
ამისად; მეთვალყურეობა საბჭო-
თა ხელისუფლების ეროვნული
პოლიტიკის განხორციელებისა-
დმი“.

სახალხო კომისარიატს ჰქონდა
თავისი სასწავლებლები, რომლე-
ბიც ამზადებდნენ სახალხო მეუ-
რნეობის სხვადასხვა დარგის სპე-
ციალისტებს რესპუბლიკებში სა-
მუშაოდ, საკუთარი გამოცემულ-
ობები, რომლებიც უშვებდნენ
სასწავლო დამხმარე სახელმძღვა-
ნელებს, მხატვრულ ლიტერატ-
ურას ქვეყნის ხალხთა ენებზე.
კომისარიატი აგრეთვე მუშაობ-
და ინტერნაციონალური აღზრ-
დისათვის, ეროვნული ენებისა და
კულტურების განვითარებისათ-
ვის.

1923 წელს საკავშირო ცენტ-
რალური აღმასრულებელი კომი-
ტეტის დადგენილებით ეროვნებ-
ების საქმეთა სახალხო კომისარ-
იატი გაუქმდა. ამ დროისათვის
სტალინს უკვე ჰქონდა საკმაო
ძალაუფლება და ამგვარი ქვედა-
ნაყოფი მას აღარ სჭირდებოდა.
ითვლებოდა, რომ ეროვნული
საკითხი ახალგაზრდა რესპუბ-
ლიკაში „გადაწყდა“ მთლიანად
და საბოლოოდ.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

ჩვენი სოფლის ადამიანები

სოფელში გაზრდილ-
დაბადებულმა კაცმა ყვე-
ლაზე კარგად იცის მიწის,
მიწაზე შრომის ფასი და
მნიშვნელობა.
ლაილაშელი ამბროსი
ჯინჭარაძე საანგარიშო და-

ერთი აქტიური შრომით
გამორჩეული ოჯახის სოფ-
ელ ლაილაშში, საკარმი-
დამოსთან ერთად იჭარბო
უვლიან ვენახს. სიმინდის
ყანას, ყოველწლიურად
მონაწილეობენ აბრეშუმის
პარკის მოსავლის მიღება-
ჩაბარების საქმეში. საკა-
რმიდამოში საკმაო რაოდე-
ნობის პირუტყვი ჰყავთ,
მავრამ ამას კოლმეურნეო-
ბის მეცხოველეობის ფერ-
მიდან გაყვანილი მსხვილ-
ფეხა პირუტყვიც მიუმატეს
და საზოგადოებრივმა მეუ-
რნეობამ 0,2 ჰექტარი სა-
თები გამოუყო ოჯახს, სა-
მაგიეროდ არც ამბროსის
ოჯახი დარჩა ვალში, სა-
შუალება მიეცათ ნამეტი
ხორცი სახელმწიფოსათვის
მიეყიდათ და მიყიდეს კი-
დეც, მიმდინარე წლის ია-
ნვარში მათი საკარმიდამო
მეურნეობიდან დამამზადე-
ბელ ორგანიზაციას 750
კილოგრამი ხორცი ჩაბა-
რდა და ხორცის დამზადე-
ბის საგეგმო დავალების შე-
სრულებაში თავიანთი
წვლილი შეიტანეს.

მიწის ბარაქით ძლიერი
ამბროსი ჯინჭარაძის ოჯახი
იმედით, რწმენით შეჰყუ-
რებს მომავალს.

კაცი

მიწითაა

ძლიერი

არგის მუშაკია, მაგრამ სოფ-
ელში ცხოვრობს და მიწ-
აზე შრომას უმაღლის
ოჯახის ეკონომიურ სიძლი-
ერეს, სწორედ ამ მიწამ
გაუძლიერა ოჯახი, გააზრ-
დევინა ორი ცაქი მას და
მის მეუღლეს. ვაჟებს,
ხედავდნენ რა, რომ ყველა
სიკეთე რაც კი რამ გაა-
ჩნიათ სოფელმა მისცა,
სწავლის დამთავრების შე-
მდეგ სხვაგან დარჩენა არც
უცდიათ, ისევ სოფელში
დაბრუნდნენ. დედ-მამას
ამოუღდნენ მხარში, ერთმა
უკვე შექმნა თავისი ოჯახი
და მამის კერაზე ამრავლ-
ებს შთამომავლობას.
ამბროსის ოჯახი ერთ-

ხალხთა

ინტერესე-

ბისათვის

(დასასრული)

ამგვარი სახელმწიფო ინსტიტუტის აღორძინების იდეა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიის განსახილველად გამოიტანა ქვეყნის მინისტრთა საბჭომ, ჩემი აზრით, მისი საჭიროება ცხადია.

ახალ კომიტეტს უამრავი სამუშაო ექნება. ეს არის ეროვნული ავტონომიების სამართლებრივი, სტატუსის ამოღებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა. სტალინის მმართველობის წლებში რეპრესირებულ ხალხთა უფლებების აღდგენა, ეროვნულ-სახელმწიფო წყობილების სრულყოფა, მცირერიცხოვანი ეროვნებების ეროვნული კულტურების განვითარებაში დახმარება, მათი ეკონომიკური ინტერესების დაცვა, სარესპუბლიკათა შორის ურთიერთობის პრობლემებზე სხვადასხვა სამინისტროსა და უწყების მეცადინეობის კოორდინაცია. გადაუდებელია მთელ რიგ რეგიონებში გამწვავებული ეროვნებათშორისი ურთიერთობის საკითხები და ამასთან დაკავშირებული ლტოლვილთა პრობლემა. მაგრამ რაც მთავარია, ეროვნულ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს დაეკისრება ეროვნებათშორისი ურთიერთობის საფუძველზე კონფლიქტების თავიდან აცილების ამოცანა.

რატომ უნდა, ეროვნებათშორისი ურთიერთობის საკითხებს უწყისარეს უფლისა თვით რესპუბლიკები უნდა წყვეტდნენ. სხვათა შორის, რუსეთის სფს რესპუბლიკაში, ლიტვასა და აზერბაიჯანში უკვე მიღებულია გადაწყვეტილებანი ეროვნულ პრობლემებზე რესპუბლიკური კომიტეტების შექმნის შესახებ. მაგრამ ძალიან ხშირად ისე ხდება, რომ მათ დონეზე საკითხების გადაწყვეტა შეუძლებელია. აქედით, მაგალითად, ჩრდილოეთის მცირერიცხოვანი ხალხების ინტერესების დაცვა. ნავთობისა და გაზის საბადოებს იქ ითვისებენ სწორედ საკავშირო და არა რესპუბლიკური მნიშვნელობის სამინისტროები და უწყებები. ამ პრობლემების გადაჭრა შეიძლება შევიდეს სახელმწიფო კომიტეტის კომპეტენციაში.

ეფექტობ, რომ თავის მუშაობაში იგი მჭიდროდ იმოქმედებს ჩვენს და ეროვნებათა საბჭოს სხვა კომისიებთან, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კომიტეტებთან.

საქართველო

უკვდავები

მს. იყო 20 წლის წინ. რაიონს სენსაციად მოედო აღეშინებდას სამი ტყუპი ვაჟი შეეძინათ...

ეს იყო და ეს. მერე ყველას დაგვავიწყდა ამ ოჯახის არსებობა. მისი ღვინო და გასაჭირი.

დღეს ბიჭები, ჯარმთვლილი ვაჟკაცები აღვის ხდის მშენებლობაზე შრომობენ, შრომობენ გულმზურვალედ რომ მშობლიური სოფლისთვის საშვილიშვილო საქმეში თავდაც გაიღონ წვლილი.

ჩვენ კი გაზაფხულის ერთ მხიან დღეს ერთი საათით მოვაცილნეთ კოტეს, კობასა და კახას დედა. ქალბატონი ვერა, მარტო 3 ტყუპის ცალის კი არა, შვიდი შვილის დედა და 2 შვილიშვილის ბებია.

შეიძლება ვინმეს გადაჭარბებულად მოეჩვენოს, მაგრამ სწორედ ქართველი ქალის გენსა და ყიშშია ასე მოზღვაებული გრძნობა დედობის, ერთგულცოლო-

ბის, ზღვევი ჯანი, სიტბო და სიყვარულითორემ...

...მე-5 შვილს რომ ველოდი, ყველა ვერა. მოულოდნელად 7 შვილის დედა გავხდი. რა დაგიმალოთ და სამ გახვეულ ჩვილს რომ

ვიზიტი 20 წლის უკვდავ

ბირველად გადავხედე, კრუნჩხვებში ჩავვარდი, ასე გარბელდა ათ დღეს. მერე შევეჩვიე.

მეუღლე მედგა ერთგულად გვერდით. 3 თვეს მუხლი არ გაგვიმართავს. სამ აკვანში ვიყავით ჩამდგარი, სხვა შვილების მოვლას, რეცხვა-სადილის კეთებას რომ თავი დავანებოთ.

რად გინდათ ყველაფრის მოყოლა, წუწუნი არასოდეს დამცდენიათ.

მერე ცხოვრებამ ისე ინება, რომ მეუღლე სერგო,

შეუდარებელი ოჯახის მამა, ახალგაზრდა კაცი ლოგინს მიაჯაჟა. მეტყველებაც წაართვა, მას აქეთ 8 წელია.

სწორედ ქართველქალობის მხრებს შეუძლია ზიდოს ამდენი. ავადმყოფის დატა

ოვება ერთი საათით არ შეიძლება. 2 შვილი დაოჯახებულია და თავისას ითხოვს, დახარჩენები აწიუნდა შეეჭიდონ ცხოვრებას. აქეთ მტერი, იქით მოყვარე, ამიტომ დასაფასებელი, ხელისგულზე დასასმელი და გასაღმერთებელი. ვერა და მისნაირი ქალები. ოჯახს კი არ ატყვია ვისიმე მზრუნველობა და გულსეყური.

30 მანეთი პენსიის ამარა 7 შვილის დედა, ისიც 5 წლის დაგვიანებით მიიღო (იმ მოტივით, რომ მუშაობის სავალდებულო სტაჟი ვერ

დაუგროვებია)?
არაფრით უნდა მოხდეს დახმარება არც საზოგადოებას, არც კოლმეურნეობისგან, არც არავისგან.

მორიდებულად იკითხა: იქნებ სამშენებლო მასალით (ხეტყე, ცემენტი) მიიწვ ღამეხმარონო. ასეა, დავერდომილი ქმრისა და ამოდენა ჯალაბის პატრონი ტალახს ვერ ავვიშრობდა, გინდა თუ არა, დამეხმარეთო. დახმარება კი გადაუდებლად სჭირდება, სახლი მოუმთავრებელია, კიბე მოუდგმელი...

დედა დედაა, და ბიჭებს კოტეს, კობასა და კახას გვერდში დგომა სჭირდებათ, სამოსახლო და ხელისშეწყობა, თორემ ერთ მშვენიერ დღეს ისინიც დაგვიწნევენ ხელს და სამი ლეჩხუმური ოჯახიც თვალსა და ხელს შუა გაგვიქრება.

ახლა ტყუპები აღვის ხიდის მშენებლობაზე შრომობენ.

მ. ძნელაქა.

შრომის წინა ხაზზე



დასრულდა წლის პირველი კვარტალი. აღამიანები აჯამებენ გაწეული შრომის შედეგებს. საზღვრავენ წლის დარჩენილ დროში საზრუნავ-საკეთებელს.

ცაგერის აგროსამრეწველო გაერთიანების ავტოსატრანსპორტო საწარმოს მშრომელებმა შეასრულეს აღებული დავალებები. ეს განაპირობა პირადმა და კოლექტიურმა პასუხისმგებლობამ, მონდომებამ.

შრომის წინა ხაზზე გამოცდილი მძოლორი თამაზ მდივანი, რომელიც მიცემულ დავალებებს პირნათლად ასრულებს, თავისი თვითმცოდნეობით ზოლ-130 მარკის ავტომანქანით გადააქვს სხვადასხვა ტვირთი. მანქანაც ყოველთვის მზა მდგომარეობაში ჰყავს და თვითონაც მობილიზებულია სამუშაოდ. როგორც შარშანდელი, ასევე მომდინარე წლის გასული კვარტალის პირადი დავალებანი გადაჭარბებით შეასრულა.

სურათში: თ. მდივანი მორიგ რეისში გამგზავრების წინ.

ზ. გომბაზას ფოტო.

როსა

გულიანი

შრომა

მძლავრობს გაზაფხული. სიმწვანე მოეძალა მინდორებს. გულგაფუებულ მიწას ოხმივარი ასდის, აცრემლებულ ვაზს კვირტი მოეძალა, მოზღვადა საქმე და საკეთებელი.

უცნაური კაცია ცაგერის კოლმეურნეობის წევრი, ძვედაცაველი ბიჭი კობალიანი, არ შეიძლება ვინმემ დაასწროს ზეარში გასვლა. ასეა ახლაც. ვენახის საყრდენი ბოძები შარშან შემოდგომაზე მოჭრა და გაამზადა საგაზაფხულოდ. როგორც კი თოვლი დადნა, დაიწყო გულმოდგინე შრომა: ჯერ გასხლა, მერე ააშენა ვენახი, მინერალური სასუქით გაანოყიერა.

სანამ კვირტი გაიღვიძებო, იტყვის, მანამდე უნდა მიხედვა ლერწმს, რომ ერთი კვირტიც არ დაზიანდეს. მტევანი არ მოაკლდეს წლის მოსავალს.

3 დღე ახვევდა ვაზს მთელი სიფრთხილითა დაცლით. მზე და ჰაერი რომ მოხვდეს, მაღალ შტამბზე გადაიყვანა.

ახლა არაფერი სჯობს მისი ნაკვეთის ნახვას. ძლიერი ვაზი ნებივრად გაშლილა მზის გულზე და სულ მალე გამწვანდება.

ახლა ბიჭიკოს ოჯახი ვენახის ბარვანა დასაქმებული.

ბევრჯერ დაგვიწერია მის გულმოდგინებაზე. იგი ხომ ცაგერის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ერთ-ერთი მოწინავე ხელოსანია, გამოცდილი, მრავალი ღლოს მფლობელი.

და ასე შრომაში გადის წლები. ვაზისა და მიწის მესაიდუმლე კაცი არ ელოდება რა იქნება ხვალ, იჯარა თუ კერძო საკუთრება. მისთვის ყოველთვის იყო შრომა შინაგანი მოთხოვნილება და ასეა ახლაც. წელს სულ ცოტა 2 ტონა ყურძენს მოიღოს გაპროგნოზებული 0,2 ჰექტარი ვენახიდან. წინასწარ ძნელია განსაზღვრო შეასრულებს თუ არა პირობას, მაგრამ ერთი კი ნათელია—უამინდობასთან ბრძოლაში ყოველთვის გამარჯვებული გამოდის.

ჩვენი ისტორია

„ცერკოვნი ბუნების“ 170 წლისთავის გამო

წლეულს სრულდება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენის იმერეთის ანუ „ცერკოვნი ბუნის“ აჯანყების 170 წლისთავი. როგორც ცნობილია, ამ აჯანყების ყველაზე უფრო აქტიური მონაწილე იყო რაჟის მოსახლეობა. ამ ფაქტს ადასტურებს ფრანგი მოგზაური გამბა, რომელიც აჯანყების მონეტში რაჟაში მოგზაურობდა:

იმერეთის სამეფოს ეს მხარე გამოირჩევა ყველაზე დიდი შემართებით და ბრძოლისუნარიით, რის გამოც 1819-20 წლის აჯანყების დროს გორჩაკოვმა სწორედ მათ შემოუტია ყველაზე სასტიკად.

ამ აჯანყების წარმოშობა დაკავშირებულია ძირითადად ქართული ავტოკეფალიის გაუქმებასთან და რუსი მოხელეების მიერ ქართული ეკლესიის „რეფორმ-

სოფელი

ასთან... როგორც ილია ამბობდა: „ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ნიშნავდა მთელი საქართველოს მიწა-წყალს, ნიშნავდა ქართველობას... სწორედ ამ ეროვნულ-პოლიტიკური ქვეითების დაშლა ჰქონდა განსაზღვრული ცარიზმის განზრახვის უკეთ ვანსორციელების მიზნით დაპატიმრეს ეპისკოპოსები გენათელი და ქუთათელი, რომელთა დაპატიმრების დროს იხმარეს უხეში ძალა იმ ზომამდე, რომ ერთ-ერთი მათგანი

სადაც,

ხიშტებით მიუენებული ქრილობით გარდაიცვალა. ამან იმერეთის სამეფოში გამოიწვია აჯანყების კიდევ უფრო გაძლიერება. აჯანყებამ განსაკუთრებით შეუპოვარი ხასიათი მიიღო რაჟაში. „ერთმორწმუნეთაგან“ ასეთი უხეში ძალადობა საკვირველად ამაზრზენი აღმოჩნდა ქართველი ხალხის რაინდული სულიანთვის. როგორც ცნობილია, ფუტეითი რაჟის ნიკორწმინდის ეპარქიაში შედიოდა, იგი ეკუთვნოდა გელათის ღვთი-

მეორედ

სმშობლის ხატს, ისტორიულად კი სოფელი სხვაგვს შემადგენელი იყო. იგი ძველად სხვაგვს ხეცს, ანუ თემს ეკუთვნოდა. იმერეთის სამეფოს რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ სოფელი სხვაგა რაჟის ოკრუგის ადმინისტრაციული ცენტრი იყო, სადაც იჭდა ოკრუგის მმართველი მაიორი ცაცია.

1819-20 წლების იმერეთის აჯანყების, ანუ „ცერკოვნი ბუნის“ ძირითადი ცენტრი გელათის ტაძარი და მისი კუთვნილი

პროფკავშირული სხოპრუხა

საწარმოს გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში, შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის განმტკიცებაში, მშრომელთა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების დონის ამაღლებაში დიდი როლი აკისრდა პროფკავშირული ორგანიზაციების მიზანმიმართულ მუშაობას. მოსახლეობის საყოფაცხოვ-

რულეს კოოპერატივებში, ავეჯისა და ლითონის ნაკეთობათა დაზადების, ფოტო, ტანსაცმლის შეკეთების, საპირფარეოს და სხვა სამაქრობებში და სახელოსნოებში.

წინა წლებში სამრეცხაოში ამუშავებდნენ მოძველებულ სარეცხ მანქანებს, რაც იწვევდა შეფერხებებს. პროფკავშირმა სამმართველოს ხელმძღვანელობის წინაშე დააყენა საკითხი, მიიღეს ზომები, დაიდგა ახალი სარეცხი მანქანა-დანადგარები. იქ მომუშავეებმა მკვეთრად გააუმჯობესეს რეცხვის ხარისხი,

მეცადინეობით თებერვლის თვეში ამოქმედდა ქიმშენდის სახელოსნო, რომელიც შეუფერხებლად მუშაობს.

წარმატებებთან ერთად პროფკავშირის კომიტეტს მუშაობაში გააჩნია ნაკლოვანებებიც. პროფკავშირის ორგანიზაციაში შექმნილია შრომის დაცვის, სოციალური დახმავის, კულტმასობრივი მუშაობის, სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის კომისიები, რომელთაგანაც დამაკმაყოფილებლად მუშაობს სოციალისტური შეჯიბრებისა და სოციალური მუდმივმოქმედი კომისიები. ხოლო დანარჩენებს გეგმაც არ აქვთ შედგენილი და არაერთი მუშაობს არ ეწევიან. გასულ წელს მუშაკებისათვის ექსკურსიაც ვერ მოაწყვეს. დღემდე გაუცემელია მატერიალური წახალისებისათვის გამოყოფილი თანხა.

პროფკომიტეტი და აღმინისტრაცია ვერ უმაღლებს პასუხისმგებლობას ცალკეული სამაქროსა და სახელოსნოს მუშაკებს. ამის შედეგია, რომ ფესცელის შეკეთების სახელოსნოებში გასული წლის გეგმა შეასრულეს 74 პროცენტით, ფესცელის ინდუქტორი კი წლიური გეგმა 52 პროცენტით შეასრულა, აბანო წლიური გეგმა შეასრულა მხოლოდ 36 პროცენტით.

პროფკომიტეტი, მართალია, იხილავს მოსახლეობისათვის მომსახურების ხარისხისა და კულტურის ამაღლების, სახელოსნოებში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხებს, მაგრამ ზოგჯერ ხელისაწი მანძი უხარისხოდ ასრულებს შეკვეთებს, ბევრ სახელოსნოსა და სამაქროში ანტისანიტარია სუფევს.

საჭიროა ცაგერის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს პროფკავშირულმა ორგანიზაციამ, მისმა კომიტეტმა დღევანდელ მოთხოვნათა შესაბამისად გარდაქმნა მუშაობა.

პლ. დავითილიანი.

აიონის პუდუჩის პაიპი

დროის უზგრძნებით

ამოკალებურად დაიტვირთა თანამედროვე ცხოვრების წესი, რომლის პირველ ამოცანად გვევლინება შესატყვისი მზადყოფნა ქმედითობისათვის გარდაქმნისა და დემოკრატიის სახით. ეს არის დროის მოწოდება, დროის ცხოვრების მხარდამხარ სიარული, მოვლენების კანონზომიერ განვითარებასთან თანამშროლობა. ეს არის გარდაქმნის შესწავლისა და დამკვიდრების გზა და ეს პროცესი ყველა ცხოვრებისეულ ნიუანსში გამოიკვეთა უკანასკნელ პერიოდში მეტი მასშტაბურობა შეიძინა სოციალურმა და ეროვნულმა საკითხებმა, დემოგრაფიულმა და ეკოლოგიურმა პრობლემებმა.

დღეს ჩვენს ხალხს მოვლენებში გარკვევის მიზნით სწორი იდეოლოგიური უზრუნველყოფა ესაჭიროება, გაბედულად მიიღოს მთავრობის პოლიტიკური მოვლენებში ამიტომ მართებო მეტი სიფრთხილე, მზრუნველი ხელი, მეურვის როლი იმ ორგანიზაციებს და კერძოდ საბიბლიოთეკო დაწესებულებებს, სადაც იგი ეზიარება წიგნს, მეცნიერებას და გაიკვლევს გზას დღევანდელი ცხოვრების მეტად რთულ და დაძაბულ ლაბირინთებში.

ამ საქმეს კარგად ართმევს თავს ორხეის №14 ბიბ-

ლიოთეკა-ფილიალი (გამოვლილია მახაროვსკის მიმდინარე საჯარო ბიბლიოთეკაში). გეგმები, რომლის მიხედვითაც, სოფლის აქტივის დახმარებით, ეწევა სოფელში მუშაობას ბიბლიო-

თეკაში მოწყობილი აქვთ გამოფენები, ალბომები, ბიბლიოთეკაში მოწყობილი თვალსაჩინოებით შეუძლია ისარგებლოს ყველა ასაკისა და განათლების მქონე მკითხველმა.

საბიბლიოთეკო მუშაობაში დიდი ადგილი უჭირავს ეროვნულ საკითხებს და კერძოდ, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასა და საქართველოს ეროვნული განვითარების კონცეფციას.

მკითხველთა სამსახურშია ანბანური და სისტემატური ქართული, საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატი.

უკეთ მომსახურების მიზნით გამოყენებული აქვთ სხვადასხვა ფორმები და მეთოდები, ბიბლიოთეკათშორისო აბონემენტი მოძრავი ბიბლიოთეკა და წიგნდამტარებლობა. ბიბლიოთეკური ცდილობს თავის მუშაობაში აღმოფხვრას ფორმალური, საამისოდ მუშაობაში გამოიყენა ბრიგადული აბონემენტი. ახალგაზრდობასთან მჭიდრო კავშირში შექმნა და ჩამოაყალიბა ინტერესთა კლუბები. ბიბლიოთეკის მუშაობს ახალგაზრდა მკითხველთა, ნორჩ დეკლამატორთა კლუბი.

ბიბლიოთეკარმა, რომ თავისი საქმე შეასრულეს, სწორდება სათანადო ტიტულს და გამოცდილება დაემატა აქვს უმაღლესი სპეციალური განათლება, რაც ამაღლებს მუშაობას დღევანდელი თხოვნათა დონეზე დაყენოს საბიბლიოთეკო მუშაობა.

ლეილა კარგი მეტყველებს 3 შვილის დედა და კარგი ლიასხლისია, ამიტომაც მას სოფელი პატივს სცემს და აფასებს.

ც. სადილიანი.

ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის დირექტორი

მეტი საჭირო

რბო მომსახურების ცაგერის სამმართველოს პროფკავშირული ორგანიზაცია (პროფკომიტეტის თავმჯდომარე გ. ჭილაძე) თავის რიგებში 122 წევრს აერთიანებს, ორგანიზაცია, მისი პროფკომიტეტი მუშაობას ძირითადად წარმოადგენს მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების ინტერესებიდან გამომდინარე პერსპექტიული და კარტალური სამუშაო გეგმების მიხედვით.

პროფკავშირის საერთო კრებებზე, პროფკომიტეტის სხდომებზე იხილავენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გეგმებისა და ვალდებულებების შესრულების, შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის დაცვის, მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, მომსახურების კულტურის ამაღლების, აღმინისტრაციასა და პროფკომიტეტს შორის დადებული კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების, მორალური და მატერიალური წახალისების ფორმების გამოყენებისა და სხვა აქტუალური საკითხებს.

არსებული რეზერვებისა და შესაძლებლობების გამოყენებით, შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის აღმინისტრაციასთან ერთად გაწეული მუშაობის შედეგად გარკვეულ შედეგებს მიაღწიეს 1989 წელს, მეთორმეტე ხუთწლედის მეოთხე წლის გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებაში, გარკვეულად გაუმჯობესდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება.


გასული წლის მომსახურების გეგმა-ვალდებულება შესრულდა 101,1 პროცენტით, მოსახლეობას დაგეგმილი 544 ათასი მანეთის ნაცვლად გაუწიეს 550 ათასი მანეთის მომსახურება, ერთ სულ მოსახლეზე მომსახურებამ დაგეგმილი 31 მანეთისა და 70 კაპიკის ნაცვლად შეადგინა 32 მანეთი და 40 კაპიკი. გეგმა-ვალდებულებები გადაჭრებით შესა-

რითაც კმაყოფილი გახდა მოსახლეობა, მაგრამ წელს კვლავ შეფერხებებით მუშაობს დანადგარები, მიღებულია ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

მიმდინარე წლის 12 თებერვალს პროფკავშირის წევრთა საერთო კრებაზე განიხილეს საკითხი ცაგერის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს 1989 წლის სოციალისტური ვალდებულებების, აღმინისტრაციასა და პროფკომიტეტს შორის დადებული ხელშეკრულების შედეგები და 1990 წლის სოციალისტური ვალდებულებების გაშლისა და აღმინისტრაციასა და პროფკავშირის შორის კოლექტიური ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ. ურთიერთშორის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ სამაქროები, სახელოსნოები, ცალკეული დარგის მუშაკები.

კარგად დაიწყო მიმდინარე წელი. ორ თვეში მომსახურების გეგმა შეასრულეს 105 პროცენტით, გადაჭრებით შესრულდა საქონელბრუნვის ორი თვის გეგმა-ვალდებულება.

პროფკავშირის კომიტეტისა და სამმართველოს ხელმძღვანელთა



ა ც ვ ე ს ქ რ ი ს ტ ე ჯ ვ ა რ ს

სოფლები იყო. ამრიგად რაქაში სოფელი ფუტიეთი აღმოჩნდა აჯანყების ცენტრი.

1820 წლის 21 მაისს მაიორ გლაგო-საცოს და ატამან ვლასოვის მეთაურობით ზარბაზნებით შეიარაღებული რეგულარული ჯარი მოულოდნელად თავს დაესხა ფუტიეთში მდებარე მონასტერთან თავმოყრილ აჯანყებულებს. რა თქმა უნდა, ბრძოლა უთანასწორო იყო. კარგად შეიარაღებულმა კაზაკთა ასეულებმა

სასტიკად დაამარცხეს აჯანყებულები, რომელთაც ძმები იაშვილები მეთაურობდნენ. ამ სასტიკი ბრძოლის ველს სოფელი ფუტიეთი და მისი მიდამოები წარმოადგენენ. ამის კვალი დღესაც აშკარად შეიმჩნევა. სოფლის ტერიტორიაზე შემორჩენილია 5 ეკლესიის, 1 მონასტრის და რამდენიმე კოშკის ნანგრევები. მეოცე საუკუნის 80-იან წლებში ამ ნანგრევებიდან მოკრეფილი ქვების გამოყენებით აშენებულ

იქნა ფერმა, რომელიც ახლა სახურავჩაკეულია და მისი კედლებიდან შემოგვქერიათ ამ ტრაგედიის უტყუი მოწმენი. ბრძოლაში დახოცილთა შორის რუსმა ჯარისკაცებმა იპოვეს ორი გადაცმული მღვდელის ცხედარი, რომლებიც მათი აზრით, წინააღმდეგობას აწინებდნენ და ამხნევებდნენ აჯანყებულებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ბრძოლაში, ჩვეულებრივ გლეხთა გარდა, ბევრი ბერი და საეკლესიო მსახურიც დაიღუპა.

ამ ტრაგედიამ დიდი დავი დაასვა სოფლის შემდგომ ყოფას. მოსახლეობის დიდი ნაწილი მთავრობის შემდგომი რეპრესიების შიშით შორს გადაიხვეწა, ზოგი თურქეთშიც კი გაიქცა. მთლიანად დაანგრია სოფლის ნაგებობანი.

შემდგომ პერიოდში ამ ისტორიულ მოვლენას სათანადო გაშუქება ვერ მიეცა, რის გამოც ეროვნულ მესხიერებაში იგი თითქმის არ ფიგურირდება. წლეულს 21 მაისს, სრულდება ფუტიეთის ბრძოლის 170 წლის თავი, მისი აღნიშვნა აუცილებელია

ლია არამარტო წარსულის დრამად შემეცნების და ახლებურად გააზრების მიზნით, არამედ ეროვნული თვითშეგნების აღმავლობის მიზნით, ვიცოდეთ, საქართველოში რაქის ერთი პატარა სოფლის—ფუტიეთის ტრაგედია საქართველოს საერთო ტრაგედიის ნაწილია. იგი ქრისტიანული სარწმუნოებისადმი ერთგულების ტრაგედიის ძეგლია საქართველოში.

ამგროლაურის რაიონული გაზეთი „კომუნისმის დროშა“.

